



ლევან სამხარაულის სახელობის  
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო  
LEVAN SAMKHARAU LI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ \_\_\_\_\_

5010169712 201 წ.

12/12/2012



5010169712

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს  
დეპარტამენტის დირექტორს ბნ დავით ხუციშვილს

ბატონო დავით , ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი  
2012 წლის 21 ნოემბრის მომართვის (ბიუროს რეგისტრაციის N1010129712) საფუძველზე, გოგზავნით  
საინჟინრო ექსპერტიზის N010122512 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტიზის დასკვნა - ცხრა ფურცელზე

პატივისცემით,

გიორგი ხიზანიშვილი  
ბიუროს უფროსი

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE



010122512

ექსპერტის დასკვნა № 010122512

**გაფრთხილება**

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს უფროსის მიერ განმეზარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

**ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი**

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

**დამნიშნავი :**

სტრუქტურა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ქვესტრუქტურა:

თანამდებობა: დეპარტამენტის დირექტორი

მისამართი: თბილისი, გ. გულუას ქ. #10

სახელი და გვარი: დავით ხუციშვილი

დოკუმენტის შემდგენი პირი: დავით ხუციშვილი

საფუძველი: მომართვა

**შემსრულებელი ექსპერტები :**

თეიმურაზ მუხაძე / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 50 წლის სტაჟით

**ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები**

გთხოვთ, უმოკლეს ვადებში დაგვიდგინოთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის ტერიტორიაზე მდებარე ადმინისტრაციული შენობისა და საცურაო კომპლექსის შენობის მდგრადობა.

შემოსვლის თარიღი: 21/11/2012წ

გასვლის თარიღი: 12/12/2012წ

**დასკვნა**

შინაგან სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის ტერიტორიაზე მდებარე საცურაო კომპლექსის და 3 სართულიანი ადმინისტრაციული შენობის მზიდი კონსტრუქციების ფიზიკური ცვეთა 40% ფარგლებშია და მათი ტექნიკური მდგომარეობა შეფასებულია დამაკმაყოფილებლად. შენობების შემდგომი ექსპლოატაციისათვის საჭიროა ადდგენითი-სარემონტო სამუშაოების ჩატარება სპეციალურად დამუშავებული პროექტით.

ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობის ტექნიკური მდგომარეობა მწვავედ ავარიულია. შენობა აშენებულია სილიკატური აგურით, რომლის გამოყენება ქვის შენობებში მომქმედი „სეისმომედეგი მშენებლობის“ ნორმებით აკრძალულია [2]. კაპიტალური კედლების ფიზიკური ცვეთა აღმატება 70%. შენობა უვარგისია შემდგომი ექსპლოატაციისათვის და ექვემდებარება დემონტაჟს.

თეიმურაზ მუხაძე

**გამოკვლევა**





010122512

ექსპერტის დასკვნა № 010122512

2012 წლის 7 დეკემბერს ვიზუალურად შესწავლილი იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის ტერიტორიაზე მდებარე ადმინისტრაციული და ყოფილი საცურაო კომპლექსის შენობების ტექნიკური მდგომარეობა.

აღნიშნული შენობები აშენებულია გასული საუკუნის 80 წლებში და დიდი ხნის მანძილზე ფუნქციონირებულ ნაგებობებს წარმოადგენენ. ყველა მათგანში მომხდარი ხანძრის შედეგად, განადგურებულია კარების, ფანჯრების და იატაკების ხის საფარის კონსტრუქციები, ელექტრო და წყალმომარაგების ქსელები. დამწვარია სათავსოებში დაკიდული ჭერის, კედლების მოპირკეთების ფილები და სხვა.

1. საცურაო კომპლექსის ორსართულიანი აგურის შენობაში, გაბარიტული ზომებით გეგმაში 32x30 მ (ფოტო.1) კაპიტალური კედლები შესრულებულია წითელი და სილიკატური აგურის შერეული წყობით. შენობის II სართულზე 4 მ სიმაღლის სივრცეში განთავსებულია მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში გადაწყვეტილი დიდი და მცირე ზომის საცურაო აუზები შესაბამისად ზომებით 25x 8,5 მ, სიღრმით 2,1 მ და 8,4x 5,8 მ, სიღრმით 1,3 მ (ფოტო.2, ფოტო.3). სართულშუა გადახურვებზე გამოყენებულია ანაკრები რ/ზ ღრუტანიანი და წინასწარდაძაბული წიბოვანი ფილები (ფოტო.4, ფოტო.5). ორივე საცურაო აუზი მოწყობილია აგურის კედლებიდან იზოლირებულ მონოლითური რ/ზ კარკასულ ჩარჩოვან კონსტრუქციაზე (ფოტო.6). შენობას გააჩნია ბრტყელი სახურავი დაფარული რუბეროიდის ბურულთით.

შემოწმებით დადგინდა, რომ შენობაში მთლიანად ამორტიზებულია სახურავის ბურული, სადაც გაჩენილ ნაპრალებში ამოსულია ხის ნარგავები (ფოტო.7). შედეგად ამისა სახურავიდან გამონადენი ატმოსფერული ნალექის ზემოქმედება იწვევს მეორე სართულის გადახურვის რ/ზ ფილების გაშიშვლებული არმატურის ღეროების კოროზირებას და აგურის გარე კედლების შეღესვის დაშლას (ფოტო.7). ხანძრის შედეგად სართულების დამაკავშირებელი ლითონის კიბე ამოსულია წყობიდან (ფოტო.8). შენობის შიგა აგურის კაპიტალურ კედლებში ხანძრის ზემოქმედებით მასიურად ჩამოშლილია გაჯის შეღესვა და მოპირკეთების კაფელის ფილები (ფოტო.9). აგურის კაპიტალურ კედლებში დაზიანებები ზზარების სახით არ დაფიქსირებულა (ფოტო.10) და მათი ტექნიკური მდგომარეობა შეფასებულია დამაკმაყოფილებლად. დამაკმაყოფილებელია აგრეთვე ხანძრით გაჭვარტლული რ/ზ ანაკრები გადახურვის ფილებისა (ფოტო.11) და აუზების რ/ზ საყრდენი კარკასული კონსტრუქციის ტექნიკური მდგომარეობა (ფოტო.12).

საცურაო კომპლექსის შენობის მზიდი კონსტრუქციების ფიზიკური ცვეთა 40% ფარგლებშია და ფიზიკური ცვეთის ხარისხის ვიზუალური შეფასების კრიტერიუმების მოხედვით [1] ცხრილი III-2, მთლიანად შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და სპეციალურად დამუშავებული პროექტით კაპიტალური რემონტის ჩატარების შემთხვევაში შენობა ვარგისია შემდგომი ექსპლოატაციისათვის.

2. ადმინისტრაციული შენობა შედგება სამი და ორსართულიანი შენობებისგან ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული გადასასვლელით.

სამსართულიანი შენობა გაბარიტული ზომებით გეგმაში 14,7x24,5 მ გადაწყვეტილია მონოლითური რ/ზ ჩარჩოვანი კარკასის ვარიანტში (ფოტო.13). შენობას გრძივი კედლების გასწვრივ გააჩნია რ/ზ ღია აივნები (ფოტო.14). კარკასის შევსებაში გამოყენებულია წითელი და სილიკატური აგური. სართულშუა გადახურვების კონსტრუქცია შესრულებულია რ/ზ ანაკრები ღრუტანიანი და წიბოვანი ფილებით. აღმოსავლეთის ტორსულ კედელთან II სართულზე შენობას გააჩნია ორსართულიანი 6,2 მ სიმაღლის სათავსო (ფოტო.15).

ჩატარებულმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ შენობაში ამორტიზებულია ბრტყელი სახურავის ბურული და მნიშვნელოვნად დაზიანებულია ხანძრის ზემოქმედებით ქვედა სართულის კარკასის შევსების შიგა კედლები. რ/ზ კარკასის ელემენტებში და გადახურვის ანაკრებ რ/ზ ფილებში დაზიანებები და დეფორმაციები არ აღინიშნება (ფოტო.16) და მთლიანად შენობის ტექნიკური მდგომარეობა შეფასებულია დამაკმაყოფილებლად.

ადმინისტრაციული შენობის ორსართულიანი შენობა გაბარიტული ზომებით გეგმაში 26,8x17,6 მ გადაწყვეტილია აგურის მზიდი კედლების ვარიანტში (ფოტო.17). კედლები სისქით 38 სმ შესრულებულია სილიკატური აგურისაგან. შენობაში განთავსებულია 6,8 მ სიმაღლის სააქტო დარბაზი ზომებით 16,7x9,0 მ (ფოტო.18). სართულშუა გადახურვების კონსტრუქციებზე გამოყენებულია ანაკრები რ/ზ ღრუტანიანი ფილები. შენობას გააჩნია ბრტყელი სახურავი რუბეროიდის საფარით.

შემოწმებით დადგინდა, რომ ამორტიზებული სახურავიდან გამონადენი ატმოსფერული ნალექის ზემოქმედებით ბევრ ადგილას დარღვეულია გარე კედლების წყობა (ფოტო.19) და ძლიერ კოროზირებულია გადახურვის ფილებში არსებული დიდი რაოდენობის გაშიშვლებული არმატურის ღეროები (ფოტო.20). შენობაში მასიურად მოხსნილია აგურის ტიხრები (ფოტო.21). შენობის ცალკეული ნაწილები დანგრევისპირა მდგომარეობაშია და ჩამონგრევის საშიშროებას ჰქმნის (ფოტო.22).

ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობა იმყოფება მწვავე ავარიულ მდგომარეობაში. მისი მზიდი კონსტრუქციების ფიზიკური ცვეთა აღებატება 70 % და შენობა უვარგისია შემდგომი ექსპლოატაციისათვის



010122512

ექსპერტის დასკვნა № 010122512

თეიმურაზ მუხაძე

თ. ჯუხაძე

**გამოყენებული მასალები**

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.
2. სამშენებლო ნორმები და წესები (პნ 01.01-09).

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია